საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 30 მარტი, 2024 წელი

დრო: 12:00 - 13:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია ქალი და ბიზნესი
4. ზვიად ელიზიანი – მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი
5. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"
6. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
7. მაკა ჯახუა - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია და რადიო მწვანე ტალღა
8. ირინა ფუტკარაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საზოგადოებრივი დამცველი

განსახილველი საკითხები:

1. საორგანიზაციო საკითხი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა პლატფორმის თანათავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.

შეხვედრაზე განხილეს დელეგატების არჩევის პროცესი და კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნების პროცედურასთან დაკავშირებით იმსჯელეს.
ეროვნულ დონეზე დელეგატების კენჭისყრის პროცესი 27 მარტს დაიწყო. კენჭისყრა მიმდინარეობს Google Form-ის საშუალებით, რომელიც ავტომატურად ითვლის მიღებულ მონაცებემს და აგენერირებს მას. საბჭოს წევრები მიინჩნევენ რომ პროცესის ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია შედეგების გაზიარება მოხდეს პლატფორმის წევრებთან ხმის მიცემის დასრულებისთანავე. ეროვნუკი კოორდინატორისა და საბჭოს წევრების შეთავაზებით, ეს შეიძლება მოხერხდეს ზუმის ფორმატში შეხვედრით, სადაც პირდაპირ ეთერში მოხდება შედეგების გაზიარება. ხმის ფარულობის საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დამატებითი მსჯელობა. წევრების მიერ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ფორმირებული იყოს დამატებითი კომისია (2-3 წევრისგან შემდგარი) რომელიც ხმისმიცემის და კენჭისყრის შედეგების პროცესს დააკვირდეს. წევრთა უმრავლესობა ამის საჭიროებას ვერ ხედავს, რადგან ხმისმიცემის პროცესი ელექტრონულ ფორმატში მიმდინარეობს და Google Form-ის საშუალებით, ავტომატურად პროგრამა ითვლის მიღებულ მონაცებემს და აგენერირებს მას. ასევე, სამდივნოს აქვს შესაძლებლობა პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოს როგორც ხარვეზიანი ბიულეტენების გამოვლენა, ისე გადამოწმება, რომ უზრუნველყოფილი იყოს 1 ხმის პრინციპის დაცვა. (1 ორგანიზაცია = 1 ხმა).
საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა ფორმატზე, რომელიც წევრთა მეტ ჩართულობასა და პროცესის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

საბჭოს გადაწყვეტილება:
ეროვნულ დონეზე ხმისმიცემის პროცესი დასრულდება 2 აპრილს, 12:00 საათზე. 2 აპრილს 11:45-ზე, პროცესის დასრულებამდე 15 წუთით ადრე, დაიწყება შეხვედრა პლატფორმის წევრებთან, ზუმის ფორმატის გამოყენებით და 12:00 საათზე, კენჭისყრის დასრულებისას, პლატფორმის წევრებთან ერთად, პირდაპირ ეთერში, პლატფორმის წევრებთან გაზიარდება ეროვნულ დონეზე მიღებული პირველადი შედეგები.

ასევე, ეროვნული კოორდინატორი და სამდივნო კიდევ ერთხელ განმარტავენ წევრებისთვის, დელეგატების არჩევის წესს, რომ დელეგატების შერჩევის პროცესი ამით არ სრულდება. საქართველოს ეროვნული პლატფორმისთვის მოქმედებს 3 ხმის პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ დელეგატების არჩევის პროცესში მონაწილეობს ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში და ფორუმის მმართველი კომიტეტი. ეროვნულ დონეზე მიღებული შედეგები გადაიგზავნება ფორუმის სამდივნოში.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა
შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე